



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

რეგიონული მთლიანი შიდა
პროდუქტი
2020



24.12.2021


www.geostat.ge

24.12.2021

რეგიონული მთლიანი შიდა პროდუქტი, 2020 წელი

2020 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მაჩვენებელმა 49 266.7 მლნ. ლარი შეადგინა. რეგიონულ სტრუქტურაში ყველაზე დიდი წილით გამოირჩევა: ქ. თბილისი (50.5 პროცენტი), აჭარის ა.რ. (8.9 პროცენტი), იმერეთი (8.4 პროცენტი), ქვემო ქართლი (8.0 პროცენტი) და სამეგრელო-ზემო სვანეთი (6.4 პროცენტი).

მთლიანი შიდა პროდუქტის რეგიონული სტრუქტურა 2020



შენიშვნა: შესაძლო მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

ქ. თბილისში შექმნილი მშპ-ის დარგობრივ სტრუქტურაში ყველაზე დიდი წილით გამოირჩევა საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი (22.8 პროცენტი), უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები (12.8 პროცენტი) და მშენებლობა (11.5 პროცენტი). აჭარის ა.რ. რეგიონისათვის წამყვან ეკონომიკურ სექტორებს უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები (16.2 პროცენტი), მშენებლობა (14.0 პროცენტი), საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი (10.1 პროცენტი) წარმოადგენს. იმერეთში, ქვეყნის დამატებული ღირებულების მოცულობის მიხედვით მესამე რეგიონში, დიდი წილი უკავია სოფლის,

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

24.12.2021

სატყეო და თევზის მეურნეობას (14.0 პროცენტი), დამამუშავებელ მრეწველობას (12.9 პროცენტი) და უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ საქმიანობებს (12.2 პროცენტი). ქვემო ქართლის მშპ-ში მნიშვნელოვანი წილით არის წარმოდგენილი დამამუშავებელი მრეწველობა (25.5 პროცენტი), სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა (17.3 პროცენტი) და სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება (7.9 პროცენტი).

მშპ მიმდინარე ფასეობი, მლნ. ლარი

რეგიონები	2019	2020
თბილისი	22 077.4	21 786.7
აჭარის ა.რ.	4 377.1	3 832.4
გურია	723.6	680.8
იმერეთი	3 654.7	3 635.0
კახეთი	2 187.6	2 208.5
მცხეთა-მთიანეთი	1 040.7	1 131.7
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	261.9	250.7
სამეგრელო-ზემო სვანეთი	2 466.1	2 741.7
სამცხე-ჯავახეთი	1 422.5	1 490.5
ქვემო ქართლი	3 227.9	3 463.4
შიდა ქართლი	1 698.3	1 915.1
მშპ საბაზისო ფასეობი	43 137.8	43 136.6
გადასახადები პროდუქციაზე	6 348.3	6 389.3
სუბსიდიები პროდუქციაზე	233.4	259.2
მშპ საბაზრო ფასეობი	49 252.7	49 266.7

შენიშვნა: შესაძლო მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

საკონტაქტო პირები:

ლევან ქარსაულიძე,
ტელ.: (+995 32) 236 72 10 (302)
E-mail: Lkarsaulidze@geostat.ge;

მარიამ ყაველაშვილი,
ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020)
E-mail: mkavelashvili@geostat.ge;